საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 614 სამშაბათი, ნოემბრის 6 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

**საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ ნოემბრის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია**

# პარტიის მეორე ყრილობა

## განსახილველი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა. . . . მომხსენებელია: ამხ. **სიმონ ხუნდაძე.**
2. დამოკიდებულება კომპარტიასთან. „ ამხ. **თედო ღლონტი.**
3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ. „ ამხ. **პარ. ჭანიშვილი.**
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება. „ ამხ **პლატ. კვირკველია.**
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიაც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.

ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

# დამარცხებული ოპორტიუნისტები

გერმანეთის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი ახალ ახალ კონფლიქტების არენათ იქცა. კოალიციონურ კაბინეტი, რომელშიაც სოციალ-დემოკრატები თანამშრომლობდენ აღარ არსებობს. შეუძლებელი გახდა პარლამენტარული ლაყბობის ნიადაგზე შეჩერება. დამარცხებული ოპორტიუნისტები დღეს იძულებული გახდენ კაბინეტის მიტოვებისა. უკეთ ბურჟუაზიამ გამორეკა ისინი თავის კაბინეტიდან.

როგორც დეპეშები გადმოგვცემს კანცლერი ან უნდა გადადგეს, ან უნდა დაითხოვოს რეიხსტაგი. სოციალ-დემოკრატებს საიმპერიო მთავრობიდან გაჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები. ეს კი შლის იმ კოალიციას, რომელზედაც ემყარებოდა შტრეზემანის პოლიტიკა. ამით ნათელი ხდება ისიც, რომ გერმანეთში უკვე ბურჟუაზიის დიქტატურაა. ამ დიქტატურის ქვეშ მოექცა ოპორტიუნისტული სოციალ-დემოკრატიაც. შტრეზემანმა ვერ შესძლო ვერც სოციალ-დემოკრატების შეჩერება და ვერც ნაციონალისტების გულის მოგება.

მონარქისტების ლიდერი ჰიტლერი უკვე „ვილჰელმის დროშაზედ" ოცნებობს და სურს, რომ იგი ააფრიალოს ბერლინის სასახლეზედ. გენერალი ლუდენდორფი კი ფიქრობს, რომ საჭიროა ოპოზიციონურ ელემენტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა.

ეს საერთო ანარქია არ ფარავს იმ რეალ ძალებს, რომელიც გერმანეთის სინამდვილეში არის წარმოდგენილი. ერთი მხრით უკიდურესი მემარჯვენე და მეორე მხრით უკიდურესი მემარცხენე ელემენტების დაჯგუფება უკვე ფაქტია, ეს ფაქტი შლის არსებითად კოალიციას.

მუშათა კლასი ხედავს, რომ სოციალ-დემოკრატებმა ვერაფერი გააკეთა თანამშრომლობითა და შეთანხმებლობით და დღეს მას ერეკებიან კაბინეტიდან. ეს დიდი გაკვეთილია გერმანეთის მუშებისათვის. ყოველი ფაქტი ახალ-ახალი საბუთია იმ დებულების ნათელსაყოფად, რომ მუშათა კლასი უნდა დაუკავშირდეს კომპარტიას და გარკვეული, რევოლიუციონური ბრძოლით უნდა მოიპოვოს თავისი უფლებანი.

გერმანეთს ვერ უშველა ვერც ერთმა კაბინეტმა, იგი ვერ იხსნა ვერც ერთმა კლასმა და წოდებამ, დღეს მას ავანტიურას უმზადებს მონარქისტული ჯგუფები. გერმანეთის ხსნის საქმე მუშათა კლასის ხელშია, რომელიც კომპარტიის პოლიტიკის გზით შესძლებს გამარჯვების მიღწევას.

როგორი მდგომარეობაც არ უნდა შეიქნას ამა თუ იმ მომენტში არსებითად ერთი ძირითადი პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება და ის ძირითადი პრობლემაა გერმანეთის „პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისი, შექმნილი როგორც მოკავშირეთა სახელმწიფოების პოლიტიკის მხრივ ისე საშინაო ძალთა ურთიერთობის გამო. გერმანეთის აღორძინება დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია, ხოლო ისეთი სახით შეუძლებელია დიდხნობით მდგომარეობის გაჩერება.

ყოველ დღე მდგომარეობა რთულდება, მწვავდება. ეს გამწვავებული მდგომარეობა, პირობაც, რომ გახდეს უკიდურეს მემარჯვენეთა გამარჯვებას, ამით მაინც არ იჭრება გერმანეთის საკითხი. ესევე მდგომარეობა ხელიდან გამოაცლიდა მემარჯვენებს ძალა-უფლებას, რადგან ბურჟუაზიული პოლიტიკის გზით გერმანეთის გამოსვლა შექმნილი მდგომარეობიდან ოცნებაა.

დამარცხებული ოპორტიუნისტების მაგალითი კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც ღაღადებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, გადამწყვეტი ბრძოლების პერიოდის დაწყებას.

# პრესა

„კომუნისტი" № 255-ში მოწინავე წერილი ეხება „სახალხო განათლების მდგომარეობას ჩვენში" გაზეთს მოყავს ცნობები სასკოლო ქსელის რაოდენობის შესახებ, აღნიშნავს, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტი მუშაობა ამ მხრივ, სამართლიანად ხაზს უსვამს, რომ შემცირებულ უნდა იქნეს სხვა და სხვა ხარჯები ამ საქმისათვის და სწერს:

„განათლების საქმეზე ჩვენში იხარჯება მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარი 50 პროც.

როგორც ვხედავთ, პროგრესი სახალხო განათლების სფეროში ფრიად მნიშვნელოვანია ამ სამი წლის განმავლობაში.

მაგრამ მდგომარეობა ამ მხრივ დღესაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

არც ერთი ბავშვი სკოლის გარეშე, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი,—აი საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა. ჩვენ კი ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ ამ მიზნის განხორციელებისაგან.

სკოლის გარეშე დარჩენილ მოზარდთა რიცხვი აღემატება 120 000-ს.

თვით არსებულ სკოლებში ყველაფერი რიგზე არ არის. ბევრგან აკლიათ სახელმძღვანელო წიგნები და საჭირო ხელშემწყობი საგნები. მართალია, სახელმწიფო გამომცემლობამ თუ სხვა დაწესებულებამ ასეთები საკმაოდ დაამზადეს და გამოუშვეს, მაგრამ მოწაფეთა ღარიბი ნაწილისათვის ისინი სიძვირის გამო მიუწვდომელია

არც მასწავლებლების მდგომარეობაა ჯერ კიდევ მაინც და მაინც სახარბიელო. ჯამაგირის სიმცირე და მისი დროზე მიუღებლობა მძიმე პირობებში აყენებს სახალხო განათლების მუშაკს.

ამასთან მასწავლებელთა შემადგენლობის საგრძნობი პროცენტი საერთო და პედაგოგიურ მომზადების მხრივ ვერ დგას დანიშნულების სიმაღლეზე.

აგრეთვე უნდა ავღნიშნოთ ერთი გარემოება ჩვენ გვაქვს ორი უმაღლესი სასწავლებელი: სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, რომელებშიაც ირიცხება 14.000 მდე სტუდენტი. მათი დიდი ნაწილი გამოუყენებელი რჩება ჩვენს ქვეყანაში, რადგან მათ აკლიათ ცხოვრებისათვის გამოსადეგი ტეხნიკური და სპეციალური ცოდნა.

ამასთან ძალზეა გავრცელებული ზოგად განათლების საშუალო სკოლები, რომლებსაც მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ.

რაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ კიდევ უნდა გავაფართოვოთ სასკოლო ქსელი იმ რაოდენობამდე, რომელიც დაიტევს ყველა მოზარდთ, ამასთან შევამციროთ ზოგად განათლების სასწავლებელთა რიცხვი და მათ ხარჯზე მოვფინოთ ჩვენი ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალური სკოლებით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საერთო ეკონომიური აღორძინებაა მთავარი პირობა სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგებისათვის **და განაგრძობს:**

„ეჭვი არ არის, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი გაუმართლებელი ხარჯები, ან ხარჯები ისეთი საჭიროებათათვის, რომელთა დაკმაყოფილება ჩვენს პირობებში ერთგვარ ფუფუნებად უნდა ჩაითვალოს.

ავიღოთ მაგალითი: გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი: „ხარჯების ეკონომიისათვის". ავტორი ეხება ავტომობილებზე გაწეულ ხარჯებს. თითო ავტომობილის ხარჯი წელიწადში შეადგენს 7,500 ოქრ. მანეთს.

ჩვენში ვინ არ დაქანაობს ავტომობილით, და ხშირად ეს საქმით სრულებით არ არის გამოწვეული, არც თანამდებობით აქვთ ბევრს ამის უფლება.

ეს ისეთი მაგალითია, რომელიც თვალში გეცემათ, მაგრამ რამდენია სხვა მიზანშეუწონელი და უთავბოლო ხარჯები.

აი, სწორედ ასეთ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, გაუმართლებელი ხარჯები უნდა ავიცილოთ თავიდან და მოვახმაროთ ისინი გადაუდებელ და მნიშვნელოვან საქმეებს, როგორიცაა, მაგ., სახალხო განათლება".

გაზეთი ეხება თეატრების ხარჯების შემცირებას და სწერს:

„ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ, მაგ., საოპერო თეატრი და, სხვა ასეთი რამ თითქოს ზედმეტი ბარგი იყოს, პირიქით, თუ საშუალება გვექნება, ხელი უნდა შევუწყოთ მას.

მაგრამ **დღეს** ჩვენი საშუალებანი შეზღუდულია. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფ. საბჭოს წინადადება თეატრალურ ხარჯთაღრიცხვის უკიდურეს მინიმუმამდე დაყვანის და განთავისუფლებულ თანხების სახალხო განათლების საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ.

ამასთან საბჭომ საჭიროდ დაინახა მოხსნილ იქნას სახელმწიფო ოპერა სახელმწიფო მომარაგებიდან და გადაყვანილ იქნეს სამეურნეო ანგარიშზე

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ პროფსაბჭომ უარი განაცხადა უფასო წარმოდგენებით სარგებლობაზე.

ამგვარად, პროფკავშირებში დარაზმული მასა მსხვერპლს იღებს სწავლა-განათლების და სახელმწიფოს ეკონომიური გაჯანსაღების სასარგებლოდ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხარჯების შემცირება, სასტიკი ეკონომიის დაცვა ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, და ამ გზით გათავისუფლებულ თანხის მოხმარება მშრომელთა აუცილებელ მოთხოვნილებებისათვის და პირველ ყოვლისა სწავლა-განათლებისათვის,—აი, ერთერთი ამოცანა, რომელიც დგას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, როცა შესაძლებელია ხელგაშლილობა.

ეს უნდა შევიგნოთ ყველამ".

# ორი მომენტი და ერთი რევოლუცია

რუსეთის, ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს მუშათა კლასმა 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობის შემდეგ, ორი გადატრიალების მომენტი განიცადა. პირველი გადატრიალება, რომელიც მოხდა 1917 წლის 26 თებერვალს, ეს იყო ეგრედ წოდებული „კერენსჩინის" ხანა. მეორე გადატრიალება, რომელიც აღნიშნულია 25 ოქტომბრის (ახალი სტილ. 7 ნოემბ.) რიცხვით, არის ლენინის ხანა.

ეს, ერთი ეპოქის ორი მომენტი მოითხოვს ჩვენგან მუშურ ანალიზს, მომენტების შეფასებას.

რუსეთის პირველ რევოლიუციას ჩვენ უწოდებთ **ბურჟუაზიულ რევოლიუციას**, ვინაიდან იმ მოძრაობას ცნობილი კერენსკის, ჩხეიძის, წერეთლის, ჩერნოვის და სხვა სოციალისტების გარდა, სხვათაშორის სათავეში ედგნენ კადეტების პარტიის სათვალჩინო წევრები და მათ შორის ყოფილი მეფის მინისტრები. ასეთი კოალიცია ნაროდნიკ კერენსკების მეთაურობით, რომლებიც ორ სკამზე ისხდნენ და რუსეთის მომავალ ცხოვრების მართვა-გამგეობას პარლამენტარულ სისტემაზე ამყარებდნენ „დამფუძნებელ კრების" საშვალებით,—იმ თავიდანვე აშკარა იყო, რომ ასეთ მთავრობას მუშათა კლასის სასარგებლოდ არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო გარდა ვნებისა.

რუსეთის მუშათა კლასი საუკუნოებით დაუძინებელი მტერი იყო რუსეთის მონარქიისა, ის სდარაჯობდა, საკმარისი იყო ერთი და პატარა შემთხვევა, რომ მას, (მუშათა კლასს) ძირ-ბუდიანად აღმოეფხვრა ბურჟუაზიის დიქტატურა და დაემყარებინა თავისი.

ეს ასედაც მოხდა.

1917 წ., სწორედ მაშინ, როდესაც მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი, „სამშობლოს ხსნის" ლოზუნგების ანკესზე იყო წამოგებული და იფერფლებოდა ბურჟუაზიის სამსხვერპლოზე, რა თქმა უნდა ასეთ პირობებში დროებით დამთვრალ მუშათა კლასს, მცირე გამონაკლისის გარდა, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ დაემხო ეს სისხლის მსვრელი ტირანები და ამნაირად განაგრძობდა ბურჟუაზიის სადღეგრძელოდ თაუნდობელ ბრძოლას, მაგრამ დახეთ **ხასწაულს!** მშვენიერ დღეს, ომში დამარცხებული ბურჟუაზია და ზოგი ერთი მინისტრები ესსერ მენშევიკებთან ერთად ახდენენ მეფის წინააღმდეგ შეთქმულებას, სახელმწიფოს აცხადებენ „სახალხო რესპუბლიკად" და ამნაირად, დამფუძნებელ კრების მომლოდინე რუსეთის ბურჟუაზია აცხადებს თავის მართვა გამგეობის ნებისყოფას.

მაგრამ არსებითად სახელმწიფოს ფორმასთან ერთად პირობები არ იცვლება. დიდი რუსეთის დიდ სივრცეზე უაზრო სისხლის ღვარები არა სწყდება: პირ იქით რუსეთის ბევრი, მაგრამ ომში გაკოტრებული ბურჟუაზია ისე, როგორც ეს მას სჩვევია, „სოციალისტურ კოალიციის" მეთაურის ესსერი კერენსკის პირით უცხადებს რუსეთის განადგურებულ მშრომელ ხალხს შეტევაზე გადასვლას: —„წინ! სამშობლო განსაცდელშია!" აი მაშინდელი „სოციალისტური" ლოზუნგი „კერენშჩინის" მთავრობისა.

რას შვრებოდენ ამ დროს რუსეთის მენშევიკები, რომელთაც ჩხეიძე წერეთელი მეთაურობდნენ? —სამწუხაროდ და სავალალოდ **ერთ ენაზე მღეროდნენ** და ჩვენ არ გვახსოვს არც ერთი წუთი, როდესაც რუსეთის მენშევიკ სოც.-დემოკრატებს წინააღმდეგობა გაეწიოთ ბურჟუაზიის ასეთი თავხედობისათვის და მშრომელი ხალხის სისხლის ღვრის შეჩერება აზრად მოსვლოდეს.

ასეთი იყო ეპიზოდი რუსეთის რევოლიუციისა პირველ პერიოდში და როდესაც ჩვენ ყველა ამის მოწმენი ვიყავით დღეს კი სხვა ეტაპში ვიმყოფებით, ნებსით თუ უნებლიედ გვებადება კითხვა:—**რა დაემართებოდა რუსეთის იმპერიას, რომ მას არ დახვდომოდა მეორე მომენტი და რუსეთის, სისხლისგან დაცლილ და ეკონომიურად განადგურებულ მუშებს და გლეხებს მხსნელად ამხ. ლენინი არ მოევლინებოდა!**

და აი, დადგა გადამწყვეტი და სერიოზული მომენტი რუსეთის ხალხის ცხოვრებაში, დროებითმა მთავრობამ რუსის ხალხი გადასაჩეხათ უფსკრულის პირას დააყენა, საკითხი უაღრესად გამწვავდა, შეიქმნა მთავრობის კაბინეტის კრიზისი, წინააღმდეგ ბურჟუაზიის სურვილისა—**რუსეთის ხალხს ომი არ უნდა!** ამ სურვილით გაიჟღინთა მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი: დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო უკმაყოფილება. მთავრობის წინააღმდეგ მთელი რუსეთის ხალხი ერთი ენით ალაპარაკდა,—მისი სურვილი იყო **ახალი მთავრობა,** რომელიც თავიდან აიცილებდა უაზრო სისხლის ღვრებს, მთავრობა, რომელიც გასწმენდა დაავადმყოფებულ და მოწამლულ ატმოსფერას და რუსეთის ხალხის ცხოვრებაში ახალი ლამპარით დაიწყებდა განათებას.

ასეთი მომენტის მალე დადგმა.

დიახ, დადგმა ნამდვილი რევოლიუციის მომენტი, ამის ნიადაგი ფართოდ მომზადდა, მაგრამ მარტო მოიენტი თავისთავად არაფერს არ ნიშნავდა, ვინაიდან რუსეთის მშრომელ ხალხში მუდამ მოიძებნებოდა რევოლიუციონური ძალა, საჭირო იყო ამ მომენტის გამოყენება და ხალხის სურვილის აღსრულებელი და ნამდვილი ხალხის მეგობარ-მეთაური და ეს მეთაურიც მალე გამოჩნდა — ეს იყო კომუნისტების ბელადი ამხ. ლენინი, რომელმაც გამოჩენისთანავე დასჭექა:

— ძირს ომი! ძირს სისხლიანი ბურჟუაზია!

და მოხდა ნამდვილი სოციალისტური რევოლიუცია 25 ოქტომბერს.

აქ ხალხი კი არ გაჰყვა ლენინს, არამედ ლენინი გაჰყვა ხალხს და დაამყარეს პარლამენტის მაგიერ მუშათა და გლეხთა საბჭოები.

რატომ მოხდა ასე?

პირველად იმიტომ, რომ **ხალხს ასე სურდა!**

და მეორეც იმიტომ, რომ არ შეიძლება ორი განსაზღვრული კლასის კოალიციურმა მთავრობამ ერთ სახელმწიფოში სოციალიზმის საქმე გააკეთოს ერთად. რატომ? იმიტომ რომ ერთი არის წარმომადგენელი ბურჟუაზიის, მღვდლების, კულაკების, **ვაჭრების და ყველა ჯურის პარაზიტების და** მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე კი სოციალისტების, მუშების, გლეხების და საზოგადოდ მშრომელი ხალხის.

ვისაც სოციალიზმი დაუსახნია მიზნად, ის უეჭველად ცალკე უნდა დაირაზმოს და თუ შესძლებს, ძალა-უფლება უნდა ჩაიგდოს ხელში და შეუტიოს იმას, იმ კლასს, ვისაც სოციალიზმისა არაფერი არა სწამს.

და ეს მესია უკვე შეასრულა რუსეთის რევოლიუციონურად განწყობილმა მშრომელმა ხალხმა.

და დღეს, როდესაც ჩვენ რევოლიუციის გამარჯვების ექვსი წლის თავს ვდღესასწაულობთ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვსთქვათ:

— გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

— გაუმარჯოს იმ მსოფლიო რევოლიუციას, რომელიც უნდა მოხდეს სულ ახლო მომავალში და რომელიც იქნება სრული თავდები მსოფლიო მუშათა კლასისა და დაჩაგრულ ერების განთავისუფლებისა.

ახოთ-ამწყობი მ—ლი.

# მთლიანი ფრონტი

მსოფლიოში საწინააღმდეგო ძალები ერთი მეორის გასაგმირად ემზადება. რევოლიუციისა და რეაქციის რაზმები სტიქიურად ვითარდებიან. რუსეთის დიდი რევოლიუციონურ კოცონს გერმანეთის გუგუნიც გამოეხმაურა. მათმა ბრჭყვიალა სინათლემ, შავ-ბნელეთის ალქაჯებს თვალები მოსჭრა. ეს ცეცხლი მსოფლიო ხანძარათ იქცევა და ბურჟუაზიის ბუნაგს ემუქრება. ამ სერიოზულმა ხიფათმა მათ საერთო ენა მოაძებნინა; გახრწნილი კაპიტალისტური ჯოჯოხეთის ტარტაროზებმა, მსოფლიო ბოროტების ჯადო-გრიგალი დაატრიალეს. თუ ერთი მხრით ამ გრიგალს სურს ქვა და ლოდი მიაყაროს და დაფაროს რევოლიუციის კერა, მეორეს მხრით მას თავის და უნებურათ მიაქვს ამ კერასთან ცეცხლის უფრო მეტათ გაპაჩაღებული მასალა, და თავის დაუსრულებელი ბერვით, ფერფლ მიფარებულ მძინარე ნაკვერჩხლებსაც აღვივებს. რამდენათ მეტათ დაბერავს ეს ჯადო ქარი რეაქციისა, მით უფრო და უფრო აგუზგუზებს მსოფლიო რევოლიუციის ხანძარს.

ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათს იღებს, ან რევოლიუციონურ კოცონთა რიგ-რიგი ჩაქრობა, ან მთელს მსოფლიოში გადასროლილ ნაპერწკალთა გაჩირაღდნება.

რა უნდა ქმნას ამ შემთხვევაში, მუშამ-მშრომელმა გლეხმა, ოფლისა და კვნესის შვილმა, თავისუფლების, რევოლიუციის და ჩაგრულ ერთა მოსარჩლე გულწრფელმა ინტელიგენტმა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მან უპოვნოთ უნდა დაავლოს ხელი თავის ძარღვებით დაგრეხილ ჟინჟილს, და თავის წრეშიც აანთოს რევოლიუციის ჩირაღდანი. რაც უნდა დაუჯდეს ეს მან უნდა მოიმოქმედოს მშრომელი ხალხისა და თავისი ერის საკეთილდღეოთ.

ყველა,—მუშა და გლეხი, მშრომელი ინტელიგენტი უნდა შეერთდეს რევოლიუციის ხსნის ლოზუნგთან; გამონახოს საერთო ენა; საერთო მოქმედების გეგმა შეიმუშაოს; საერთო მტკიცე და ურყევ დისციპლინას უნდა დაემორჩილოს. ძალები ნების ყოფა, საკუთარი ნიჭი და უნარი, პირადი ჯგუფური ან პარტიული თავმოყვარეობა, თავისი ქონებრივი და გონებრივი დოვლათი მათ ზვარაკათ უნდა მიიტანონ რევოლიუციის გამარჯვების სამსხვერპლოზე, რომ შავმა უხეშმა ძალამ კვლავ არ დაგვიბრუნოს განვლილი მწარე დღეები,—აბსოლიუტიზმის სულთა მხუთავი დრო. დღეს ყველა ოდნავ შორს მჭვრეტელი, შეგნებული და ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანი, ვალდებულია გაითვალისწინოს, მომავლის გამარჯვება-დამარცხების პერსპექტივები. სამაგალითო სიდინჯით უნდა აიწონდაიწონოს ძალთა განწყობილება, განსაკუთრებული გულისყურით უნდა დათვალიერდეს ყველა რევოლიუციონური, რიგები. არც ერთი საჭირო ელემენტი არ უნდა დარჩეს უმოქმედოთ, დიდი საქმისათვის გამოუყენებლათ.

თუ დღეს მშრომელთა ქვედა ფენებს მართებს თავდაცვისათვის ძარღვების დაჭიმვა, თავის მოვალეობის შეგნება, მით უფრო ამ რთულს მომენტში, რევოლიუციის ხელმძღვანელ ორგანოებს და მათ მთავარ შტაბებს, მართებს მეტი ყურადღება, მეტი სიფხიზლე, მეტი სათნოება ამ ფენებთან; მეტი სულიერი და ორგანიზაციული კავშირის განმტკიცება ფართო მასასთან; მეტი ნდობა, მეტი რწმენისა და მიმართულების თავისუფლების ალაგმვა რევოლიუციონურ მშრომელთადმი.

საბედისწერო მომენტში დიდსაჯული უკარებობა უნდა მოისპოს, სხვისი აზრისა და მისწრაფების უპატივცემლობა უნდა გამოსწორდეს (რასა კვირველია რევოლიუციონურ ელემენტებისადმი), მეტი ჰუმანური და თავაზიანი მოპყრობა მათდამი, „მთაში ირემსა მოწველის“, ამაყი, უკარება, მონოპოლიური თვისებები შინ მშვიდ და სარგებლიან „ძროხასაც გააჯავრებს“.

ხშირად, რევოლიციონურ ოჯახში უნდობლობა, პარტიულ იერარხიაზე ამაღლება, მედიდური თვისებები უფრო დააფრთხობს ფართო მშრომელ მასსებს ვიდრე შეამჭიდროებს მათ.

დღეს რევოლიუციის სანგრებში, პრაქტიკულ დინამიკის განვითარების ხანაში, თეორიული პაექრობის დრო არ არის. ამისათვის ჩვენ საკმაო დრო გვქონდა და გვექნება კიდევაც რევოლიუციონურ ქარტეხილის ჩადგომის შემდეგ. დღეს მოქმედების, ხელსახებ იარალის ამუშავების ხანაა. მთელი ჩვენი ცოდნითა და გამოცდილებით; მთელი ჩვენი ენერგიითა და ახალგაზდური ტემპერამენტით ჩავებმით. პირშავ რეაქციის წინაალმდეგ, ბრძოლაში. მხოლოდ ჩვენ მოვითხოვთ მეტ ყურადღებას მეტ შეგუებას ჩვენს უანგარო ინტერესებთან, ჩვენი რევოლიუციით ძმებისაგან. ჩვენ გვიყვარს სხვათა იდეური მრწამსი და საჭიროა ჩვენი რწმენაც შეიგუონ ჩვენს რევოლიუციონურ რელიგიასაც სათანადო მოწიწებით მოეპყრან. განა საერთაშორისო ომის დროს ეთნიური თავგანწირულებით არ იბრძოდა გერმანელი ლიუტერნი და პროტესტანტი, მოზღვავებულ ანტანტის ჯარების წინაალმდეგ?? განა წითელ ჯარს დღესაც არა ყავს თავდადებული გმირები, გინდ უპარტიო გინდ სხვა პარტიის, კომუნისტებთან ერთათ?! ბევრი ყავს, ბევრი გულწრფელი რევოლიუციონერი. ერთი გზა ერთი მიზანი აერთებს მათ. მით უფრო ლამაზი, მომხიბლავი და გამართლებულია სოციალისტურ წყობილებისათვის, და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რაც უფრო მეტი თვალსაზრისებით არის გაშუქებული მისი ბრწყინვალე პერსპექტივა.

მაშ უფრო ახლოს, ერთმანეთის გაგებისაკენ ერთმანეთის გუებისაკენ და პატივისცემისაკენ, მოვიმარჯვოთ ჩვენი გონება და გულის ყური, რომ „ცალ-ცალკე და ყველა ერთათ“ მივისწრაფოდეთ გამარჯვებისა და ნეტარებისათვის.

კაპიტონ ბაქრაძე.

# ისინი ძალებს აერთიანებენ

ჭეშმარიტება გაიმარჯვებს. ამისათვის მას ჰირდება დრო; დღეს ცის თაღზე ჩამოეკიდენ ტყვიის ღრუბლები. მაგრამ მოვა დრო და ისინი გაიფანტებიან.

ნიტტი.

ასე ფიქრობდა ევროპის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი იტალიის ყოფილ პრემიერის ნიტტის სახით რომელსაც აშინებდა ვერსალის ხელშეკრულობის სიმკაცრე და მისი შედეგები. მაგრამ ამასთან ერთად ის მაინც სჯეროდა უკან დახევის შესაძლებლობა. ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვა, რომელიც შეანელებდა ევროპის კრიზისს როდესაც ისინი უკან იხედებოდენ და წარსულში ეძიებდენ იდეალს, ევროპის აფორიაქებული ცხოვრება ბუმბერაზული ნაბიჯით წინ მიდიოდა. ერთის მხრით სისხლიდან დაცლილი გერმანია უღელ ქვეშ სულს ღაფავდა, მაგრამ მეორე მხრით გამარჯვებულნიც ვერ ზეიმობდენ. მათი დანგრეული ეკონომიური ცხოვრების აღდგენა არც ისე ადვილი შეიქნა. ამისათვის არ იყო საკმარისი გერმანიიდან აღებული გროშები. ამიტომ მათში გაიღვიძა ისევ ბუნებრივმა მტაცებლურმა გრძნობებმა.

იმდენად ძლიერად აღმოჩნდა კაპიტალისტური წინაალმდეგობანი დახლართული ევროპის სახელმწიფოებში, რომ დღემდე მათ ვერ შესძლეს საერთო ძალით თავი დააღწიათ განმანადგურებელ კრიზისს.

ამავე დროს [illegible] ბაში მათ წინ იდგა [illegible] რუსეთის [illegible], ამ უკანასკნელის წინააღმდეგ [illegible] სცადეს ძალთა გაერთიანება. მთელი 6 წლის განმავლობაში ისინი ლოცვა-კურთხევით ხვდებოდენ ყველა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს რუსეთში და არაფერს ზოგავდენ მათთვის. ეს დროც გავიდა. რუსეთი მიანდვეს თავისივე ბედს და კვლავ განაგრძობდენ გერმანიის უმოწყალო ყვლეფას. მაგრამ გერმანიის პროლეტარიატი აღსდგა, დღეს, გერმანიის პროლეტარიატი აკეთებს არა მარტო გერმანიის ნაციონალურ საქმეს, არამედ მსოფლიო რევოლიუციის საქმესაც.

კაპიტალისტები ერთხელ კიდევ აწარმოებენ ცდას გაერთიანებულ ძალებით მსოფლიო რევოლიუცია ჩაახშონ. ევროპის რეაქცია ემზადება.

რას იზამს აქ საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტია, აქ პასუხი ერთია ის მთელი თავისი ძალებით აქტიურად უნდა ჩაერიოს ბრძოლაში:—ამას ის მოახერხებს პარტიის თავმოყვარეობის უკუგდებით.

ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტია ძლიერ საჭირო იყო, სანამ რევოლიუციის ტალღები არ იყვნენ კიდევ ნაციონალურ ფარგლებ გაცილებული, სანამ ესენი ბობოქრობდენ რ. ს. ფ. ს. ფარგლებში, მაგრამ როდესაც ეს ტალღები გაშორდენ ამ ვიწრო ფარგლებს, ჩვენ როგორც ეროვნულ პარტიას, აღარ შეგვიძლია საერთა-შორისო ძალთა ჭიდილში დიდი როლის თამაში.

ამიტომ რევოლიუციისათვის მაქსიმუმ სარგებლობის მოსატანად ჩვენ უნდა შეუდუღდეთ ისეთ ძალას, რომელიც ასე თუ ისე ხელმძღვანელობს მსოფლიო რევოლიუციას.

დღე, 7 ნოემბერი—ეს პროლეტარიატის ზეიმის დღე, გახდეს რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანების სიმბოლოთ.

მ. ხ—ძე.

# რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 4 და 5 ნოემბრიდან).

**— სოც.-დემ. გამოვიდნენ გერმანეთის მთავრობიდან.**

**— მზადება დირექტორიის შესაქმნელად.**

**— გერმანეთის ფინანსიური და სასურსათო მდგომარეობა კატასტროფიულია.**

**— ფაბრკომების საიმპერიო ცეკა დაშლილია გესლერის დეკრეტით.**

**— სეპარატისტული მთავრობა ამზადებს ახალ შეტაკებას**

**— კელნში დააპატიმრეს სეპარატისტულ მთავრობის წევრი, კრემერი.**

**— სოც.-დემ. პარტიის ბრაუნშვეიგის საოლქო კომიტეტი მოითხოვს პარტეიტაგის მოწვევას.**

**— ტიურინგიის მთავრობასა და გენ. რეინჰარდტს შორის ხდება უთანხმოებანი**

**— ბერლინში გავრცელებული ხმებით, ბავარიის მებრძოლი კავშირები ითხოვენ მთელს გერმანეთში დიქტატურის მეთოდებს.**

**— ბავარიის მებრძოლი კავშირები ბერლინისაკენ იწევენ.**

**— აღმოსავლეთ პრუსიაში სწარმოებს ფაშისტურ მებრძოლ კავშირების ორგანიზაცია.**

# რევოლიუციონური ეპოქა და პოლიტიკური პარტიები

## 3. თეორია და პრაქტიკა

„პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი, ლიტერატურული, ხელოვნური და სხ. განვითარება ემყარება ეკონომიურ განვითარებას. მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და თვით ეკონომიურ საფუძველზედაც. საქმე სრულიადაც არ არის ისე, თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა იყოს **ერთად ერთი აქტიური მიზეზი,** ხოლო დანარჩენი, მხოლოდ პასიურ ფაქტორებს წარმოადგენდეს.“

ფრ. ენგელსის წერილიდან
გ. შტარკენბურგთან 1894 წ.

პოლიტიკური პლატფორმა ჩვენსა და კომპარტიას შორის არ იწვევს უთანხმოებას. ჩვენ მივედით მათთან ამ მხრივ თუ ისინი მოვიდენ ჩვენთან, ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, საქმე ის არის, რომ მთელი გარდამავალი პერიოდის სივრცეზედ ჩვენსა და კომუნისტებს შორის ამ მხრივ კონფლიქტი არ შეიძლება მოხდეს. გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, როდესაც კლასები მოისპობა, აზრი არ ექნება არც ერთი პარტიის არსებობას.

სოციალური პოლიტიკის სფეროში კომპარტია იცავს სოციალიზაციის, მუნიციპალიზაციის, კომუნალიზაციის, კოოპერატიზაციის პრინციპებს. ეს ჩვენთვის სავსებით მისაღებია. ამას ჩვენ ყოველთვის ვიცავდით. სოციალური პოლიტიკის სფეროში არ არსებობს არც ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ჩვენსა და კომუნისტებს ერთმანეთს გვაშორებდეს.

ნაციონალური პოლიტიკის სფეროში კომუნისტები ფედერაციას აყენებენ.

პოლიტიკური მხარე ნაციონალური საკითხისა ამ მხრივ იჭრება ისე, როგორც ჩვენ გვესმოდა. კომუნისტები აღიარებენ ერთა თანასწორობასაც და ამით ლოლიკურად სცნობენ ერს იურიდიულ პირათ, რომელიც სუბიექტი ხდება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია. აქ ეროვნული ორგანიზმი გამოდის სამართლის სუბიექტად და არა სახელმწიფო. ეს დიდი ნაბიჯია წინ კომუნისტურ პრაქტიკაში.

ისმის საკითხი ნაციონალური პრობლემის სოციოლოგიური გაგების შესახებ. აქ ჩვენსა და კომუნისტებს შორის არის განსხვავება. ამ საკითხში საზოგადოდ არ არსებობს ერთი ჩამოყალიბებული და ყველას მიერ მიღებული შემეცნება. ამ სფეროში თეორიული ძიებას ამ ჟამად მარქსისტულს მწერლობაშიაც დიდი ადგილი აქვს და ამ მხრივაც, რაკი აშკარაა ამ ძიების ტენდენციები და ზოგადი დასკვნები, ამიტომ ამ ნიადაგზე შეუძლებელია პარტია შესდგეს და განაცხადოს—მე ვერ დაუჭერ მხარს კომპარტიასთან ორგანიზაციულ გაერთიანებას, რადგან ჩემი სოციალური გაგება ერისა არ ეთანხმება ძველი მარქსიზმის გაგებასო.

ალსანიშნავია, რომ სოციოლოგიამ მრავალი თეორიები იცის ერის შესახებ. ერ. ნისი, მაჩინი, ბლუნჩლი, რენანი, ვორმსი, ტარდი, ფერრე, ბაუერი, კაუცკი და სხ.—სხვა და სხვაგვარად უდგებიან ნაციონალური პრობლემის სოციოლოგიური მხარეს. ამ თეორიათა რაოდენობით ცხადია ვერ აშენდება პოლიტიკური პარტიები.

პოლიტიკური პარტიისათვის აუცილებელია მსოფლმხედველობა, მტკიცე პრიციპიალური დებულებანი, რომელიც ამავე დროს იძლევა განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმას პარტიათა შორის: თუ მოხსნილია ეს უკანასკნელი, თუ თეორია პრაქტიკული პოლიტიკისათვის არ იძლევა განსხვავებულ პოლიტიკურ ამოცანებს, მაშინ თეორია იღებს აკადემიური თეორიის ხასიათს, შეიძლება იგი უაღრესად მეცნიერული იყოს, მაგრამ მარტო მით პოლიტიკურ პარტიას არსებობა არ შეუძლია.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი პარტია. ჩვენ გვაქვს თეორეტიული დებულებანი, გადადგმული გვაქვს საპასუხისმგებლო პრაქტიკული ნაბიჯები, არა გვაქვს დამოუკიდებელი პოლიტიკური პლატფორმა და ამიტომაა პარტიის არსებობას ეკარგება აზრი.

როგორია ობიექტიური პირობები. რას მოითხოვს რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების დღევანდელი ეტაპი? სად უნდა წავიდეს პარტია და როგორ უნდა იმუშაოს?

ანტისაბჭოთა პარტიათა კოალიცია დღეს აღარ წარმოადგენს რეალურ, ორგანიზაციულ ძალას, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის პრაქტიკული შემოქმედების პერიოდში ვიმყოფებით. საგარეო ურთიერთობა მეტად რთულდება. საბჭოთა რესპუბლიკებს მთელ რიგ ქვეყნებში მოუკლეს წარმომადგენლები, რაც ამის სიგნალია. რესპუბლიკათა კავშირი უეჭველად დიდ დათმობაზედ მიდის, რომ ომს თავი დააღწიოს. ამავე დროს იგი ძალთა მობილიზაციას ემზადება. ცხადია ყოველი ძალის გამოყენებაა საჭირო ამ მიზნისათვის, რომელიც რევოლიუციის სადარაჯოზედ მტკიცედ სდგას. ამდენათვე საჭიროა მათი ორგანიზაციული შემჭიდროება, საერთო გეგმით დარაზმვა.

ჩვენი პარტიის წინაშე ისმის საკითხი—როგორ უნდა მოიქცეს ის, რა პოლიტიკა უნდა აწარმოოს?

ამ კითხვაზედ შეიძლება ორგვარი პასუხი:

პარტიამ მთელი თავისი ცოცხალი ძალები სავსებით უნდა დაუქვემდებაროს საბჭოების მოქმედებას, უნდა გადასცეს იგი რევოლიუციონური ცენტრის განკარგულებაში. ამ შემთხვევაში პარტია რჩება დამოუკიდებელი, ხოლო იგი გართულებული მდგომარეობის გამო სავსებით უმორჩილებს თავის ძალებს საბჭოების ნება უფლებას, ასუსტებს და შეიძლება სწყვეტს დროებით საშინაო სადაო კითხვების წამოყენებას.

პარტია შეიძლება ორგანიზაციულად გაერთიანდეს რევოლიუციის ხელმძღვანელ პარტიასთან და უარყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა.

ჩვენმა პარტიამ არჩია მეორე გზა-გზა კომპარტიასთან ორგანიზაციულად გაერთიანებისა. მართალია ჯერ ეს ყრილობას არ დაუდასტურებია, მაგრამ წინასწარმა კონფერენციამ უკვე დაგვანახვა ორგანიზაციების აზრი ამის შესახებ. ამდენათვე ყრილობა ამ საკითხს მხოლოდ ფორმალურად მისცემს თავის სახეს.

ასეთ შემთხვევაში ერთი გენერალური საკითხი ისმის. ყველა ძალები უნდა დაუმორჩილოთ ამ გადაწყვეტილებას. არ შევქნათ ძალების დაქსაქსვა, განდგომა, უმოქმედობა.

ჩემს ფელეტონს ფრ. ენგელსის სიტყვები ეპიგრაფად წარუმძღვანე, სადაც ნათელი ხდება იდეოლოგიის მნიშვნელობა. ისეთი მატერიალისტიც კი, როგორც ფრ. ენგელსია ვერ უარყოფს, რომ იდეოლოგიასაც აქვს გავლენა თვით ეკონომიურ საფუძველზედაც.

კომპარტიის მე--12 ყრილობაზედ ეროვნული საკითხის რეზოლიუციაშიაც ერთ ერთი მუხლი სწორედ მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებას ეხება, მაშასადამე კომუნისტებიც იდეოლოგიური ფრონტის მნიშვნელობას სავსებით ცნობენ.

მართლაც აზროვნების ისტორიას ამ მხრივ მდიდარი მასალა მოეპოვება. თუ კარლოს დიდი შთამომავალი გრაფი სენ-სიმონი, თავის თეორეტიული აზრის გამო, მათხოვრად ხდება, თუ არა პროლეტარები—ფრ. ენგელსი და კარ. მარქსი პროლეტარულ იდეოლოგიას ჰქმნიან, თუ რიკარდო, ბირჟევიკი შრომის თეორიას საფუძვლებს უყრის, რაც კლასთა ანტაგონიზმს წინ აყენებს, თუ ოუენი ფაბრიკანტი უდიდესი უტოპისტის როლში გვევლინება, ცხადია იდეოლოგიურ აზრს, თეორეტიულ შეხედულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

ამდენათვე კომპარტიასთან გაერთიანების საკითხის დასმის დროს ჩემი აზრით იდეოლოგიური სხვაობა აბრკოლებს.

იმათთვის პოლიტიკურად კაუცკიანური მარქსიზმი ლენინისტურ მარქსიზმიდან არ სებითად განსხვავდება. ჩვენი პარტია ვერ გაიზიარებს იმ ატმოსფერას და ტრადიციებს, რომელიც შექმნილი იყო ძველების მუშაობით, ამიტომაა მე ვფიქრობ არ შეიძლება საკითხის ისე გამარტივება, რომ ათეული წლების განმავლობაში არა მარქსისტულად აღზრდილი პარტიის ყველა წევრები ერთ მშვენიერ დღეს პირწავარდნილი მარქსისტები შეიქნენ: ამხ თედო ამას წინეთ სწერდა—ჩვენ არ გვქონია გარკვეული სავალდებულო მთლიანი მსოფლმხედველობა, ჩვენ მხოლოდ კრიტიკულ შემოქმედებას ვაწარმოებდით მარქსისტების მიმართო. დღეს ეს ტრადიციაა დარჩენილი, ტრადიცია უნდა უარყოთ, ვინც ამას არ უარყოფს იგი არაფრით განსხვავდება მემარჯვენე ფედერალისტისაგანო.

მე ვფიქრობ საკითხი აქ ძალზედ გამარტივებულია თუ ამას განვიხილავთ ძველად არსებულ სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის თვალსაზრისით. ჩვენ განსაკუთრებით ხაზს უსვამდით სუბიექტიურ მომენტებს, რაიცა მიხაილოვსკის შემდეგ პლეხანოვმაც და განსაკუთრებით ლენინმა გაამართლა. დიქტატურის ტაქტიკა, პარტიის ორგანიზაციის პრინციპები და საერთაშორისო რევოლიუციის ფრონტალურ ბრძოლის მიხედვით მოწყობა—ყველა ეს ბლომად ატარებს სუბიექტიურ მომენტების მნიშვნელობის გაზიარებას.

სწორედ ამიტომვეა, რომ ჩვენ დოგმატიკას კი არ უმორჩილებთ ჩვენს მუშაობას, არამედ რევოლიუციის საჭიროებას. გასული წლის სექტემბრის „ტრიბუნა“ ში № 303 ჩვენ დოგმატიკას შემდეგნაირად მოუარეთ:

„აზროვნების განვითარებას ჯერ კიდევ

**— შტრეზემანმა ებერტთან შეიტანა მთელი კაბინეთის გადადგომა.**

**— ებერტმა შტრეზემანს დაავალა მოახდინოს კაბინეთის რეორგანიზაცია.**

**— ბავარია თხოულობს გერმანეთში დიქტატურის დაარსებას.**

## გერმანეთის ამბები.

პარასკევს გერმანეთის მთავრობის სხდომაზედ მწვავე შეტაკება მოუხდათ სოც.-დემ. და ბურჟუაზიულ მინისტრებს. ამის შემდეგ მომხდარმა შტრეზემანისა და სოც.-დემ. ფრაქციის ბელადთა თათბირმა ნაყოფი ვერ გამოიღო. მემარჯვენე პარტიების კრიზისი, და სოც.-დემ. მოთხოვნილებათა უარისყოფამ სოც.-დემ. იძულებული ჰყო გამოსულიყვნენ მთავრობიდან. სოც.-დემ. ფრაქციამ ეს ნაბიჯი მხოლოდ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადასწყვიტა. მთავრობიდან გამოსვლის წინააღმდეგ ხმა მისცეს: ბრაუნმა, ზევერინგმა, დავიდმა, გეინრიხმა, შულცმა, გრედნაუერმა და კრეტციგმა.

სოც.-დემ. ფრაქციის პარლამენტის ბიულეტენის ცნობით, სოც.-დემ. მთავრობიდან გამოვიდნენ არა მარტო შინაურ პოლიტიკის, არამედ საერთოდ პოლიტიკური მოტივების გამო. ბიულეტენში აღნიშნულია, რომ სოც.-დემ. შემდეგში აღარ დაუჭერენ მხარს შტრეზემანის მთავრობას. ფიქრობენ, რომ სოც.-დემ. და ნაციონალისტების ოპოზიციის გამო შტრეზემანი ველარ მიიღებს რეიხსტაგში უმრავლესობას და თანახმად მთავრობის გაფართოებულ უფლებებისა, იგი იძულებული იქნება დაითხოვოს რეიხსტაგი.

ფიქრობენ, რომ შტრეზემანი ვერ გაჰბედავს, რომ გადადგეს მთავრობა, და შეეცდება კოალიცია გააფართოვოს მარჯვნივ. დემოკრატები იმუქრებიან თავის მინისტრების გაწვევით, თუ მთავრობა ნაციონალისტებს დაეყრდნო. უკიდურესი მემარჯვენენი ყოველგვარი კომპრომისის წინააღმდეგნი არიან და მოითხოვენ შტრეზემანის კაბინეთის გადადგომას.

საღამოს გაზეთები დიდი კოალიციის დაშლას მომხდარ ფაქტად სთვლიან.

სოც.-დემ. წრეებში ლაპარაკობენ, რომ პარტიის ცეკას განზრახული აქვს წინადადება მისცეს ებერტს გადადგეს თანამდებობიდან, თუ მოხდება ახალი მთავრობის კაპიტულიაცია ბავარიის წინაშე, ან თუ მთავრობაში შევლენ ნაციონალისტები.

გერმანეთში, მემარჯვენე ჯგუფებში გაფაციცებითი მზადება სწარმოებს. სახალხო პარტიის სტინესის ჯგუფი, ცენტრის მემარჯვენე ფრთა და მრეწველთა სხვა ჯგუფები, მათ რიცხვში დემოკრატიულ პარტიის მარჯვენა ფრთაც, მოლაპარაკებას აწარმოებენ 4 პირისაგან შემდგარ და დიქტატორულის უფლებებით აღჭურვილ დირექტორიის შექმნის შესახებ. შტრეზემანის ორგანო „ცეიტი“ იუწყება, რომ ასეთი დირექტორიის გეგმა უკვე მზად არის. ცენტრის ორგანო „გერმანეთის“ ცნობით, დირექტორიაში განზრახულია გალფერიხის დანიშვნა. ტევტონთა პარტია და გიტლერისა და კარას ჯგუფები წინააღმდეგნი არიან ასეთი დირექტორიისა. გერმანეთის ნაციონალისტების პოზიცია ჯერ გამოურკვეველია.

გერმანეთის საერთო მდგომარეობა კატასტროფიულია. ოქროს სესხიანი ქაღალდებით სპეკულიაცია უფრო და უფრო იზრდება. დღევანდლამდის დაბეჭდილია 500 მლ. ოქროს მარკის სესხიანი ქაღალდები. ბერლინის სასურსათო ბაზარზედ შეტაკებანი ხდება ნარდათ და წვრილ მოვაჭრეთა შორის. პირველნი თხოულობენ ფასის მტკიცე ვალიუტით გადახდას, ხოლო მეორეებს ასეთი არ გააჩნიათ მუშებს, რომელნიც ხელფასს ქაღალდის მარკებით იღებენ, არაფრის ყიდვა არ შეუძლიანთ. ბერლინში პურის ნაკლებობა და დიდი სიძვირეა. ზოგიერთი ქალაქები საკუთარ ბონებს ჰბეჭდავენ. ცალკე დაწესებულებებიც კი, მაგ. ფოსტა-ტელეგრაფის საიმპერიო სამმართველო, საკუთარ ბონებს ბეჭდავენ.

მთავრობას გადაუწყვეტნია ხმარებიდან განდევნოს ქაღალდის მარკები და მტკიცე ურთიერთობა დაამყაროს მარკასა და მტკიცე ფულის ნიშნებს შორის. პროექტის დაწვრილებითი მხარე ჯერ გამოურკვეველია.

ფიზიკურ და გონებრივ მომუშავეთა კავშირი მოუწოდებს მუშებს, იქ სადაც მწარმოებლებმა მუშაობა შეაჩერეს, განაგრძონ წარმოების მოქმედება ფაბკომების დახმარებით. ბევრი წარმოების მუშებმა მიჰბაძეს ამ მოწოდებას.

გესლერის დეკრეტით ფაბკომების საიმპერიო ცეკა დაშლილად არის გამოცხადებული.

საიმპერიო მთავრობიდან სოც.-დემ. გამოსვლა მღელვარებას იწვევს საქსონიის მთავრობაში. ფიქრობენ, რომ საიმპერიო მთავრობის კრიზისს საქსონიის მთავრობის კრიზისი მოჰყვება. მემარჯვენე პრესა გააფთრებულ კამპანიას ეწევა ფელიშის მთავრობის წინააღმდეგ. ცნობებია, რომ საქსონიაში არა ჩვეულებრივი ტერორია გამეფებული, პროლეტარულ რაზმებისადმი მიმართული.

ხემნიცსა და ლიმბახში გრძელდება რეიხსვერის ნაწილების მომატება.

ხემნიცსა და ცვიკაუში რეიხსვერი კომუნისტებისა და სოც.-დემ. მასიურ დაპატიმრებას ახდენს. მუშებსა და რეიხსვერს შორის ხდება შეტაკებები. მწარმოებლები ითხოვენ ასეულ მუშა-კომუნისტებს.

„ფოსიშე ცეიტუნგის“ ცნობით, ბავარიის სანაპირო ყარაულებმა ზონენბერგში სროლა აუტეხეს ტიურინგიის სანაპირო სადარაჯოებს. ტიურინგიის დარაჯები სროლაზედ არ უპასუხებენ.

კობლენცის სეპარატისტული მთავრობა ახალ შეტევას ამზადებს: აახენის მუნიციპალიტეტი კვლავ აიღეს სეპარატისტებმა.

კელნიდან კორესპონდენტი ლონდონის გაზეთ „ტაიმსს“ აცნობებს, რომ სეპარატისტულ მთავრობის მიწად-მოქმედების მინისტრი, კრემერი დააპატიმრა გერმანეთის პოლიციამ კელნში.

თუ მომავალ ოთხშაბათს რეიხსტაგის სხდომაზედ მთავრობამ ვერ მიიღო უმრავლესობა, რეიხსტაგს დაჰშლიან. შტრეზემანი განაგრძობს საქმის ხალხთან მოლაპარაკებას კაბინეთის შევსების შესახებ.

სოც.-დემ. პარტიის ბრაუნშვეიგის საოლქო კომიტეტი წინააღმდეგია პარტიის ცეკას კოალიციონური პოლიტიკისა და მოითხოვს არაჩვეულებრივ პარტეიტაგის მოწვევას პარტიის წევრთა უმრავლესობის წევრის გამოსარკვევად.

ვიუსტემბერგში კომუნისტების მასიური დაპატიმრება ხდება მანჰეიმში სამხედრო სარდლობამ აღკრძალა კომუნისტური ორგანო, პომერაიში სამხედრო სარდლობამ აღკრძალა მთელი რიგი სოც.-დემ. გაზეთებისა.

შაბათს ბერლინში დააპატიმრეს კომუნისტი გროტე.

„როსტას“ კორესპონდენტის ცნობით, ტიურინგიის მთავრობასა და გენერალ რეინჰარდტს შორის ხშირად ხდება უთანხმოება. რეინჰარდტმა პროტესტი განაცხადა კომუნისტ-მინისტრ კორმას გამო რეიხსვერის ჯარის კაცების მიერ მუშის მოკვლის შესახებ. მთავრობამ უარი სთქვა ახსნა-განმარტების მიცემაზედ და განაცხადა, რომ იგი პასუხისმგებელია მხოლოდ ლანდტაგის წინაშე. რეინჰარდტი პროტესტს აცხადებს მთავრობის განცხადებაზე, რომ იგი ემყარება პროლეტარულ რაზმებს.

ტიურინგიის პრემიერმა, ფრელხმა „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა, რომ ბავარიის მზადება ეხება არა მარტო ტიურინგიას, არამედ გათვალისწინებულია აგრედვე ბერლინზედ გალაშქრება და თუ საიმპერიო მთავრობა უმოქმედობს, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ იგი თანაუგრძნობს ბავარიის რეაქციას. კორმმა აცნობა, რომ ბავარიის საზღვარზედ თავმოყრილია 24,000 გიტლერისა და ჯარის მომხრენი. უთანხმოებებს ამ ორივე პირთა მომხრეებს შორის ჯერაც ისევ აქვს ადგილი. ტიურინგიის სოც.-დემ. დაარსა რესპუბლიკანური თავდაცვის განსაკუთრებული რაზმები.

ბერლინში გავრცელდა ხმები, ვითომც ბავავარიის სამხედრო კავშირებმა გერმანეთის საიმპერიო მთავრობას წარუდგინეს ულტიმატიური მოთხოვნილება, შემოიღოს მთელს გერმანიაში მემარჯვენე დიქტატურა, როგორც ბავარიაშია. მიუხედავად ოფიციალურად უარყოფისა, ეს ცნობები მართლდება. შაბათს სოც.-დემ. ემლჩმა პრეგერმა აცნობა საიმპერიო მთავრობას, რომ არა ლეგალური მებრძოლი კავშირები იწვევენ ბერლინისაკენ, შუა გერმანეთით.

ბადენის შინაგან საქმეთა მინისტრი გერმანეთის მთავრობას სთხოვს შეეკითხოს ბავარიას სამხედრო მზადების შესახებ, თორემ ბადენი საფრთხეშია.

აღმოსავლეთ-პრუსიაში დიდი მზადებაა ფაშისტურ მებრძოლ კავშირებისა.

ადგილობრივი ხელისუფლება და მემამულენი ენერგიულ დახმარებას უწევენ არალეგალურ სამხედრო ორგანიზაციებს.

3 სოც.-დემ. მინისტრის [illegible] შემდეგ შტრეიზემან და ებერტს [illegible] მთელი კაბინეთის გადადგომის შესახებ, რაზედაც ებერტმა დაავალა შტრეზემანს მოახდინოს კაბინეთის რეორგანიზაცია.

ოფიციალურად გამოქვეყნებული მთავრობის ცნობა ამბობს, რომ კაბინეთის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესა სოც.-დემ. ულტიმატუმმა მთავრობას არ შეეძლო მათი პირობების მიღება, რადგანაც ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ მთავრობა ემორჩილება მარტო ერთ პარტიას და მარქსიზმის გავლენას. მთავრობის წევრთა უმრავლესობის აზრით, არც საქსონიასა და არც ბავარიაში შექმნილი მდგომარეობა ხელს არ უწყობს ეხლა საალყო წესების მოხსნას.

ლონდონში მიღებულ „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით, ბავარიის მონარქისტულმა მთავრობამ შტრეზემანს მოსთხოვა საიმპერიო დიქტატურის შექმნა ბავარიის მსგავსად. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავარია იმუქრება ბერლინის წინააღმდეგ გაგზავნოს ბავარიის საზღვარზედ მოგროვილი ჯარები.

ამავე ცნობას ადასტურებს პარიზის გაზეთი „ტანი“.

პარიზის ცნობით, ერხარდი, კარი და გიტლერი მორიგდნენ ერთმანეთში და საქსონიის და ტიურინგიის საზღვარზედ თავი მოუყარეს თავის რაზმებს, რიცხვით 50,000 კარგად შეიარაღებულ კაცს. რაზმებს თან აქვთ მსუბუქი არტილერია და აეროპლანები.

კელნიდან ბერლინში ატყობინებენ, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და პროფესიონალურმა და სამრეწველო კავშირებმა რეინის ოლქში სეპერატისტულ მოძრაობის საპროტესტო მოწოდება გამოუშვეს, სადაც აცხადებენ, რომ მოძრაობა ხელოვნურად არის შექმნილი გერმანეთის მტრების მიერ.

შაბათს დილით სეპარატისტები დაეცნენ აახენში მუნიციპალიტეტს და სხვა სახელმწიფო შენობებს და აუტეხეს მცხოვრებთ სროლა. ინგლისის კონსულმა აახენში ბელგიის ხელისუფლებას მოსთხოვა წესიერების აღდგენა, რის შემდეგაც ბელგიელებმა მოსთხოვეს სეპარატისტებს იარაღის ჩაბარება და ქალაქის დატოვება. სეპარატისტები იძულებული იყვნენ დაჰმორჩილებოდენ მოთხოვნილებას, რის შემდეგაც ქალაქის მართებლობა შეუდგა თავის საქმეს. წესიერების დაცვა აახენში დაკისრებული აქვს ბელგიის ჯარს.

---

არ მიუღწევია იმ სიმაღლემდე, რომ ადამიანის გონება სავსებით გაბატონებულიყოს მოვლენათა რთულ ხლართზე და შესძლებოდა მისი კანონების ახსნა. ფაქტთა ლაბირინტში დღესაც ისევ ხეტიალობს ჩვენი მაძიებელი გონება და რამდენადაც მრავალი რამ ნათელი და აშკარა ხდება ჩვენთვის, იმდენად კიდევ უფრო მრავალი საიდუმლოების წინაშე ვდგებით.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა აზროვნებამ მრავალი დაკვირვების შემდეგ მოგვცა მიზეზობრობისა და განვითარების ტენდენციის აღმოჩენა მოვლენებში.

სოციალური მოვლენებიც, ისე როგორც ფიზიკური, ემორჩილებიან მიზეზობრივ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, მაგრამ სოციალურ მეცნიერებას ჯერ კიდევ ვერ გაუცია კატეგორიული ხასიათის კანონები, რომელნიც სისწორით გვიჩვენებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ეტაპებს.

სტატისტიკა მასიური დაკვირვების საშუალებით საშუალო სიდიდეს მოგვცემს და საზოგადოებრივ მოვლენათა თანმიდევრობასა და წესიერებას აღმოაჩენს, მაგრამ იგი კიდევ ვერ გვეტყვის კატეგორიული მანერით რაიმეს, აუცილებელს.

ეგების თეორია მათემატიკურ ანალიზსაც მოიხმარს და წინამძღვრების გათვალისწინებით საეგებიო დებულებას მოგვაწვდის, მაგრამ თვით თეორიის სახელწოდებაც—მას გვეუბნება, რომ ასეთი რამ საეგებიოა, შესაძლებელია და არა აუცილებელი.

პოლიტიკური ეკონომია ეკონომიურ მოვლენათა მიზეზობრივ კანონს შეგვიქმნის, მაგრამ მათაც პირობითი ხასიათი აქვს და თუ წინამღძვრები იქნა მკაცრად დაცული, მაშინ არის შესაძლებელი მოვლენის სათანადო დასკვნა.

სოციოლოგიაც ჰიპოტეტიური კანონებით გვიმასპინძლდება, მრავალ სკოლათაგან არც ერთს არა აქვს ხელში კატეგორიული პასუხი. ეს არც გასაკვირია. მომავლის შემეცნებისათვის ჩვენ დაგვჭირდება ერთი მხრით ყველა მიზეზობრივ—ფუქციონალური კანონების ცოდნა და მეორე მხრით ყველა ძალისა და სხეულის ცოდნა, რომელნიც მოქმედებენ ბუნებაში. ასეთი რამ კი შეუძლებელია ჯერ ჯერობით ჩვენი ცნობიერებისათვის,

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ტენდენციების გათვალისწინება, მათი მიმართების შეცნობა. ამდენავე პოლიტიკა ჰიპოტეტიური ხასიათის მატარებელია.

პოლიტიკას საქმე აქვს საზოგადოებრივი ორგანიზმის რთულ ფუნქციებთან და რამდენათაც ჯერ კიდევ შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების კანონების ზუსტი ახსნა, იმდენად პოლიტიკა არ შეიძლება იყოს მტკიცე და აუცილებლობით ჰგულისხმობდეს განაღდებას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალი ფაქტორები მოქმედებენ ურთიერთ შორის, ათასგვარ დამოკიდებულებით არიან გადაჭდობილი სოციალური ძალები და ნურვინ იტყვის, რომ მხოლოდ მას შეეძლო ყოველივე ძალების გათვალისწინება და ისეთი პოლიტიკის აგება, რომელიც აუცილებლად მიაღწევს განაღდებას.

ამიტომ არის, რომ ხშირად დიდ პოლიტიკურ პოლვაწეებს ისტორია პოლიტიკურ სცენას ჩამოაშორებს და უმნიშვნელო პიროვნებებს აიყვანს პოლიტიკურ სიმაღლეზე. ამიტომ არის, რომ მრავალჯერ იმსხვრევა პოლიტიკური პარტიების გეზი და ხშირდება პოლიტიკის რევიზია. ეს ყოველივე ბუნებრივია.“

ასე ჰიპოტეტიურად სდგას ჩემთვის თეორეტული საკითხები. დიდი თავხედობაა საჭირო, ან დიდი და იშვიათი თეორეტული ცოდნა, რომ დოგმატიურად, რომელიმე თეორიის აპოლოგეტი გახდე. აკადემიური დავა, მეცნიერული ძიებანი ვერ შეჩერდება ერთ წერტილზედ. დღევანდელი რთული მომენტი საერთოდ და რუსეთის რევოლიუციის პრაქტიკაც კერძოდ სოციალური თეორიებისათვის ემპირიული მასალა იქნება უმაღლესი თეორეტიზაციისათვის, რომ მეცნიერული კანონები სოციალური დინამიკისა შემოწმდეს და გამომუშავდეს.

ჩვენ პოლიტიკური მუშაკნი აკადემიური გულგრილობით უნდა შევყურებდეთ თანამედროვე მოძრაობას? საკმაოა თუ არა თეორეტიული სხვაობა ჩვენსა და კომპარტიას შორის იმისთვის, რომ გულ ხელ დაკრეფილი ვიდოდეთ პოლიტიკურ სარბიელზედ? თუ არა, მაშინ როგორ უნდა ვიბრძოლოდ და სად, ვისთან და ვის წინააღმდეგ?

**სერ. ამაღლობელი.**

---

## ახალი ამბები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** 6 ნოემბერს საღ. 7 საათზე 1) სომხური ენის მასწავლებელთა წრის სხდომა. 2) ფიზიკო-მათემატიკის წრის სხდომა სომხურ ენაზე. 3) საღ. 6 საათ. ბუნებისმეტყველთა წრის სხდომა ქართულ ენაზე.

ხუთშაბათს 7 ნოემბერს, საღ. 7 საათზე საზოგადოებრივ მეტყველების წრის სხდომა სომხურ ენაზე.

ხუთშაბათს 8 ნოემბერს. საღ. 6 საათ. სკოლასთან არსებულ საბავშო ბაღის ხელმძღვანელთა წრის სხდომა ქართულ ეხაზე.

პარასკევს 9 ნოემბერს. საღ. 7 საათზე 1) ბუნებისმეტყველთა კრება სომხურ ენაზე. 2) არარუსულ სკოლებში რუსული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა. 3) საღ. 6 საათ. არა ქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა წრის სხდომა. 4) საღ. 6 საათ. რუსული ენის წრის შესაუბრება: ფონეტიკა, როგორც სკოლის გრამატიკის განყოფილება.

საღ. 7 ნახევარ საათ. რუსული ენის პროგრამმა (1 და 2 საფეხურის სკოლებში).

8 ნახევრ საათ. საორგანიზაციო მუშაობა ბიბლიოგრაფიული წრეში.

5) საღ. 6 საათ. მუსიკისა და გალობის მასწავლებელთა წრის სხდომა.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში,** სამშაბათს, ნოემბრის 6 საღამოს 7 საათზე, სამეცნიერო ცენტრ-არქივის დარბაზში (ოლღას ქუჩა № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ლ. მელიქსეტბეგი წაიკითხავს მოხსენებებს: ა) ძველი მხატვრობა გარე კახეთში და ბ) კაწარეთი. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.** სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში დღეს, 6 ნოემბერს საღამოს 6 საათზე, გაიმართება მოხსენება და საღამო-მოგონება ოქტომბრის რევოლიუციის დღის თავის აღსანიშნავად; ყველა პოლიტ განათლების მუშაკთ ევალებათ დაესწრონ საღამოს.

— **ტფილისის მაზრის რაიონებათ დაყოფა.** 3 ნოემბერს ქალაქის აღმასკომის პლენუმის სხდომაზე მიღებული იქნა ტფილისის მაზრის რაიონად დაყოფის პროექტი. მთელ მაზრაში იქნება 22 სოფლის გლეხთა საბჭო და 7 რაიონული აღმასკომები.

— **გადასახადი იმ პირებზე, რომლებიც ხელზე მოსამსახურეებს ინახავენ.** ქ. აღმასკომის პლენიუმმა დაადგინა: შემოიღოს გადასახადი იმ პირებზე ვინც ინახავს და იმსახურებს ხელზე მოსამსახურეთ გადასახადი გადახდებათ პროფკავშირის წევრებს (ნახევარ წლის განმავლობაში) 3 მანეთი ჩერვონცით და დანარჩენ მოქალაქეთ 5 მანეთი ჩერვონცით.

— **შრომის ბირჟა.** 3 ნოემბერს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 338 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—87 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაო—54 უმუშ.

— **უბედური შემთხვევა.** 3 ნოემბერს დილის 8 საათზე ციციშვილის აღმართზე ნავთლუღიდან მომავალი ტრამვაის ვაგონი აშორდა გზის ლიანდაგს და ჩავარდა ძირს, მუხრანის მოედანზე, ვაგონი სულ დამსხვრეულია დაშავებულნი არიან მილიციელი სოლომონ გიორგობიანი, ტრამვაის მუშები თურბაძე და ავეტისოვი.

— **თავის მოწამვლა** 3 ნოემბერს დღის 3 საათზე პავლოვის ქ № 7 მოქ. მარიამ ბრაჟოვსკოვისამ მოიწამლა თავი, რომელიც დახმარების აღმოჩენით გადარჩენილი იქნა.

— **ტრამვის მსხვერპლი.** 3 ნოემბერს დილის 10 საათზე მალაკნის ქუჩაზე მომავალ ტრამვაის ვაგონმა გაიტანა 7 წლის ბავშვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. გაიანე ხაჩატურიანცის გვამი მოთავსებულია საავადმყოფოში. ვატმანი დატუსაღებულ იქნა.

— ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით აუწყებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე დღესასწაულის გამო ყველა წარმოება-დაწესებულება 7 ნოემბერს უნდა იქნას დახურული, გარდა თეატრებისა, კინო-თეატრებისა, კლუბებისა და იმ წარმოებებისა, რომლებიც მუშაობენ წყალსადენზე და განათებაზე.

— **უმუშევართა მოძრაობა ქუთაისის მაზრაში.** სექტემბრის განმავლობაში ქუთაისის შრომის ბირჟაში აღრიცხული იყო—530 უმუშავარი სამუშაოზე გაიგზავნა—79 უმუშავარი და დახმარება მიეცათ 26 კაცს.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 96.000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 89,000 „ |
| ჩეკი. | 84,500 „ |
| დოლარი ეფექ. | 21,200 „ |
| ჩეკი. | 19,500 „ |
| ისმალური ლირა | 10,800 „ |
| საბჭოთა ფული | 13,500 „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიაში

დღეს, საღამოს სრულ 6½-საათზე, პარტიულ ცენტრალურ კლუბში (კეცხოველის ქ. № 1) დანიშნულია მე-4 რაიკომის **სასწრაფო სხდომა.**

ვსთხოვ რაიკომის წევრებს გამოცხადდნენ აუცილებლივ აღნიშნულ დროს.

მე 4 რაიკომის მდივანი **აკ. ხირაძე.**

დღეს, ნოემბრის 6, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ კლუბში დანიშნულია საზოგადო კრება მეოთხე რაიონის წევრების. სავალდებულოა წევრების გამოცხადება აღნიშნულ დროზე.

**მეოთხე რაიკომი.**

## კიდევ აფთიაქების შესახებ

მშრომელ ხალხს დიდი ყურადღება ესაჭიროება ჯანმრთელობის მხრივ.

როდესაც მშრომელი ხალხი ითვლებოდა მონათ და მის ჯანმრთელობაზედ არავინ ფიქრობდა. იმ დროს ფარმაცევტები იყვნენ აფთიაქების ნაციონალიზაციის მომხრე.

დღეს ასეთი ფარმაცევტები ძალიან ცოტანი აღმოჩნდა.

ჩვენი ხელმიუწდომელი ნაციონალიზაცია ჩვენდა შეუწუხებლათ მოგვივლინა საქართველოს გასაბჭოებამ. ჩაგვრჩა ხელთ თავისუფალი აფთიაქები. დღეს რას ვხედავთ? იმას რომ მომზადებული და ერთგული ფარმაცევტები აღმოჩნდა მცირე რიცხოვანი. ამის გამო წინეთ შემოსავლიანი აფთიაქები დაეცა და სახელმწიფო იძულებული გახდა მათი იჯარით გაცემისა.

როდესაც აფთიაქები იჯარით იცემოდა, იყო რამდენიმე წერილი მის საწინააღმდეგოთ. მაგრამ მალე ყოველივე მინელდა და შეურიგდენ უმრავლესობა ფარმაცევტებისა ამ ფაქტს.

იმ ხანებში, ობიექტური პირობების გამო სახელმწიფომ ვერ შესძლო იმ სიმძიმის ატანა, რომელსაც წარმოადგენდა მთელი აფთიაქების საკუთარი ინიციატივით მართვა. როგორც აღვნიშნე ამას ხელს უშლიდა ფარმაცევტთა კადრის უყოლობა, რომელიც საქმით იქნებოდა დაინტერესებული და ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩაბმით ხელს შეუწყობდა საბჭოთა აფთიაქების გამტკიცებასაც.

რადგან ეს არ მოხერხდა სახელმწიფომ მიმართა იჯარას. საიჯარო ხელშეკრულებანი მეტად გამრავლდა და დღეს ქუთაისის მაზრაში მესამე აფთიაქთა საერთო რაოდენობისა თუ იქნება დარჩენილი სახელმწიფოს ხელში.

ასეთი მდგომარეობა კი სავალალოა. ხალხის ჯანმრთელობის საქმე ისევ ხელში უვარდება მოიჯარადრეებს. რას კვირველია ჩვენი მიზანი არ არის მოიჯარადრეებზედ ჯავრის ამოყრა. ყოველი კერძო სამეურნეო საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა და სულელი უნდა იყოს მოიჯარადრე, რომ მოგებას არ ეძებდეს. საქმე აქ სისტემის შეცვლაშია. სახელმწიფომ თანდათანობით უნდა მიჰყოს ხელი იჯარების გაუქმებას და საბჭოთა აფთიაქების რიცხვის გამრავლებას.

აქ საექიმო სასანიტარო პროფკავშირიდგან მოველით მეტ უნარიანობას.

წელიწადი თავდება იჯარის შემოღების დროიდგან და ეხლა ხმებია ვითომ თემის აღმასკომებზე გადააქვთ აფთიაქი იჯარის სახითო. ალბათ საიჯარო ფულების აკრეფა არ იყო წასულ წელში წესიერათ და იმისათვის ადმინისტრაციასთან იქერენ საქმეს მომავლისათვის.

მგონებ დრო არის ფარმაცევტებმა ხმა ამოიღოს და სალათას ძილს მიცემული ამხანაგები ეხლავ გამოაღვიძოს თორემ, როგორც ყოველ სენს გვიან წამლობა აღარ შველის, აგეთივე ბედი ეწევა ჩვენს აფთიაქებს და ფარმაცევტებსაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საქმეს ვერ უშველის. ადმინისტრაციის საშუალებით რა თქმა შეიძლება საიჯარო გადასახადის აკრება, მაგრამ ამით ხალხის ჯანმრთელობის ძირითადი საკითხი არ სწყდება.

მე ვფიქრობ შესაძლებელია ორი გამოსავალი: 1. მინიმუმამდე დაყვანა იჯარით გაცემულ აფთიაქებისა (შესაძლებელია მახლობელ აფთიაქების შემჭიდროებაც უკიდურეს შემთხვევაში). 2. გამოცვლა კერძო მოიჯარეების საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშვალებით. ამ შემთხვევაში სოფლად ფართოდ შეიძლება კოოპერაციის გამოყენებაც. კოოპერატივები უნდა გამოვიდენ მოიჯარადრეებად. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც ხალხის ჯანმრთელობის საქმისათვის, კოოპერაცია მოგებას არ დაისახავს მიზნად, ისე თვით კოოპერატიული მოძრაობის განვითარებისათვისაც, რადგან მასაში გაიზრდება მისი ავტორიტეტი.

ამ ფაქტს აქვს დიდი მნიშვნელობა ფარმაცევტებისათვისაც. ეს პროფესია გაიწმინდება მევახშური ელემენტებისაგან, იგი იქნება მუშა-მოსამსახურის პირობებში და ამდენათვე დაუახლოვდება მშრომელ ელემენტებს, რომლის ჯანმრთელობის სამსახური არის ამ პროფესიის წმინდა დანიშნულება.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა ამ გარემოებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

**ვუკოლ ამაღლობელი.**

## ჩვენი მეცნიერული წიგნები

საქართველოს ბაზარი ქართული მეცნიერული წიგნებით ღარიბია.

ის უცხოეთის ბაზარმა დაიპყრო.

მისი განვითარების ეტაპები პირველ საფეხურს არ გასცილებია.

ყოველივე ამას ისტორიული გასამართლებელი საბუთები აქვს.

მისი წინსვლა აუცილებელია. ქართული უნივერსიტეტი მთელი თავისი მეცნიერული ძალები ამაზედ იმედებს იძლევა.

სიღარიბეს განიცდის მეცნიერების ყველა ნაწილი. ასეთივეა მდგომარეობა სოციალურ მეცნიერებაში. არა გვაქვს არც ერთი ქართული სახელმძღვანელო ამ დარგში. გასულ წელს სოც.-ეკონ. ფაკულტეტის სტუდენტობამ მოინდომა სამართლის მეცნიერებაში ერთ ერთ სახელმძღვანელოს თარგმანა, მაგრამ შრომა უნაყოფოთ ჩატარდა.

სოციალოგიის საუნივერსიტეტო კურსის შედგენაში უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი.

ეკონომიური მეცნიერებაში, ამ თოთხმეტი წლის უკან ქართულ ენაზედ გამოცემა სახელმძღვანელოებისა (მხედველობაში მაქვს ბოგდანოვის და კაუცკის ნაშრომნი) თუ აკმაყოფილებდა მოთხოვნას, ეს არ ითქმის დღეს...

გვაქვს მხოლოდ ჟიდის სახელმძღვანელოს თარგმანი...

საჭიროა ყველა ამათ მიექცეს ყურადღება რადგანაც ამას მოითხოვს ქართული მეცნიერება, ამასვე საჭიროებს მომავალი ახალგაზრდობა და საზოგადოება.

ამ სფეროში საჭიროა სერიოზული შრომანი.

თუ არ გვაქვს ქართული ორიგინალური ნარკვევები მაშინ დიდ სამსახურს გაგვიწევდა თარგმანიც.

**ფარი.**

# ხელოვნება

### სახელმწიფო ოპერა.

2 ნოემბერს სახელმწიფო ოპერის სცენაზედ განახლებულ იქმნა ლეონ კავალიოს „ჯამბაზები“ და მასკალიეს „სოფლის პატიოსნება“. მასკალიოს ოპერის „სოფლის პატიოსნების“ დადგმა არ შემიძლიან ღირსეულად ჩავთვალო. ეტყობა ოპერა სახელ-დახელოდ არის დადგმული. ჩვეულების წინააღმდეგ ორკესტრს არ ემჩნეოდა თავის თავის რწმენა, თუმცა მას ივ ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა. კარგად იყო შესრულებული intermezzo—ფალიაშვილმა ამ ადგილას შესძლო მიეცა ცხადი მელოდია და ტემპერამენტი.

მომღერალმა მოსინმა, რომელიც ტურრიდუს პარტიას ასრულებდა, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მარტო სანტუცცასთან დუეტის აღსრულების დროს. აქ მომღერალმა ბევრი ლამაზი ადგილი მოგვცა სიმღერაში და დიდი ტემპერამენტი. კარგად შეიძლება ჩავთვალოთ დედასთან გამოთხოვების სცენაც, რაც მსახიობმა მოგვცა ლირიული განწყობილება, მაგრამ არ შემიძლიან მიზან შეწონილად ჩავთვალო ბგერის გაძლიერება პირველ სერენადაში რომელიც მოითხოვს ლირიზმსა და კანტიმების გამოყოფას.

მსახიობი ქალი პანკრატოვი მშვენიერი აღმსრულებელია სანტუცცის პარტიისა, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრით. პარტიის შესრულება თავიდან ბოლომდე მოფიქრებულია და აღსავსე გმირის განცდებთან შეფარდებულ სხვა და სხვა განყოფილების გაგებით.

არ შემიძლიან ჩავთვალო დამაკმაყოფილებლად ალფიოს პარტიის შესრულება ქარცივაძის მიერ. მინდა ვიწამო, რომ გაუმჯობესების შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზედ ქარცივაძეს „აიდაში“ აბანასროს პარტიის შესრულებით, შემთხვევითი არ არის! ეტყობა, ქარცივაძე ავადმყოფი მღეროდა, და ამიტომ თავს შევიკავებ მისი აღსრულების შესახებ აზრის გამოთქმაში.

სუსტი იყო ვოკალურის მხრით ნოლლას ეპიზოდიურ პარტიაში მსახიობი ქალი თუმანოვა-მახარაძე, რომელიც არა რითმიულად და ნაკლების სიმტკიცით მღერის. სცენიურის მხრით პარტია სწორედ იყო გაგებული. გუნდი ვერ მღეროდა სიმტკიცით და სისწორით (ხმას უდაბლებდა).

ამავე დღეს დადგმულმა ლეონ კოვალიოს „ჯამბაზებმა“ მშვენიერის „ensemble“-ით ჩაიარა.

მეტად მოსაწონია ტონიოს პარტიის შესრულება მომღერალ ქაშაყაშვილის მიერ. ახალგაზრდა მომღერალი, ეტყობა, მუშაობს და სერიოზულად ეკიდება თავის საქმეს. მას ჰპართებს ყურადღება მიაქციოს ბგერის მკაფიობას საშუალო და დაბალ რეგისტრებში და ეცადოს, რომ ბგერა ისეთივე კარგი ჰქონდეს ყველგან, როგორც მაღალ რეგისტრში. გრიმი და საერთოდ მთელი სცენიური მხარე მომღერალს შესაფერისი და ტიპიური აქვს. პროლოგი მსახიობმა ქაშაყაშვილმა კარგის განწყობილებით შეასრულა.

მომღერალმა ქალმა ბოკოვამ (ნედდა, ხოლო სცენაზე კოლომბინა), როგორც ყოველთვის, დამთავრებულად შეასრულა თავისი პარტია როგორც სცენიურის, ისე ვოკალურის მხრით. ფრინველებისადმი მიმართვა (tempo di volso) მან შეასრულა ლამაზად და სისწორით დეტალური მელოდიური სურათით. კარგი იყო სცენა სილვიასთან და უფრო უკეთესი მთელი სცენა ქმართან.

მსახიობი ევლახოვი — კანიო (სცენაზედ ჯამბაზი) ერთი საუკეთესო შემსრულებელთაგანია ამ პარტიისა ტფილისში. არიოზო „იცინე ჯამბაზო“ დამთავრებულად არის შესრულებული. მსახიობი სრულიად არ აძლიერებს ხმას და სრულიად უტენდენციოთ იტაცებს აუდიტორიას მთელი ოპერის დროს. უკანასკნელ სცენაში ბევრია რეალიზმი და ჟრუანტელ მომგვრელი სიმართლე.

იგონინი (არლეკინი) თავის პარტიაში მოითხოვს უფრო დამთავრებულ შესრულებას (ხმის ტეხნიკას) და უკეთეს დამუშავებს გამოთქმის მხრით.

სილვიას პარტია მეტად უდგება მსახიობ ვენაძის ხმის ძალას (baritouo lirico) და ამ პარტიას იგი მუსიკალურად ასრულებს.

გუნდი და ორკესტრი თავის სიმაღლეზედ იდგა.

**პ. ბებუთიშვილი.**

—:—

**სახ. კონსერვატორია.** სახ. კონსერვატორიასთან დაარსდა ქართული ხალხური მუსიკის შესასწავლი კლასები. აგრეთვე გაიხსნა მოსამზადებელი კლასები სახალხო ლოტბარებისთვის შრომის სკოლებში მუსიკის სასწავლებლად.

**სახალხო სახლის 30 წლის იუბილე.** სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე განზრახულია გაიმართოს 25 ნოემბერს. საიუბილეო კომიტეტში შედის ყველა კულტურულ განმანათლებელ და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები. იუბილეს მთავარი ინიციატორია განათლების კომისარიატი და სახალხო თეატრის გამგეობა.

**„კრებული“.** იბეჭდება ვრცელი კრებული სახალხო სახლის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად. კრებული შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1. ისტორიული მონოგრაფია სახალხო თეატრის განვითარება-აღორძინებისა, 2. კრიტიკული განხილვა სახალხო თეატრის დრამატიულ ნაწარმოებთა. სხვა განყოფილებაში შედის წერილები ქართველ ხელოვანთა კრებულში აგრეთვე იქნება სურათები ძველ მოღვაწეთა და მათი ბიოგრაფიები.

**ლენინის დიდი სურათი.** მხატვარი მოსე თოიძე ამ ჟამად ხატავს ლენინის დიდ სურათს.

**„მზის დაბნელება“.** დღეს, ნოემბრის 6 რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“ დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

**დაჭრილი გედებით.** ნ. გერგესელმა დასწერა ახალი პიესა „დაჭრილი გედები“ 4 მოქმედებად.

**მხატვარ ი. გუდიაშვილის და ტ. კაკაბაძის დაბრუნება.** საფრანგეთიდან ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვლენ მხატვრები ი. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე.

**დახმარება სახალხო სახლს.** სახალხო სახლის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე სათანადო დახმარების გასაწევად.

**მოწაფეთა თეატრი.** (ყოფილი კამერული). შაბათს, 3 ნოემბერს, გაიხსნა რუსულ წარმოდგენების სეზონი. მოწაფეთათვის წარმოადგინეს იურ. ბელიაევის 4 მოქმედებიანი პიესა „პსიშა“.

კვირას, ნოემბრის 4 ს, აქვე წარმოადგინეს ბავშვებისათვის მარკ ტვენის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „ტომ საიერი“.

ოთხშაბათს, 7 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“ 6 სურათად. რეჟისორად დასს მოწვეული ჰყავს სახელმწ. თეატრების საპატიო მსახიობი ტუგანოვი და ა. კიარინსკი. მოწვეული არიან მხატვრები: ი. გამრეკელი და ნ. კულეში.

**„ცხვრის წყარო“.** ოთხშაბათს, 7 ნოემბერს, განახლების შემდეგ პირველად რუსთაველის თეატრში წარმოადგენენ ისპანელ ცნობილ მწერლის ლოპე-დე-ვეგას პიესას „ფუენტე ოვეხუნა“-ს (ცხვრის წყარო). ბალეტი დადგმული იქნება ვ. ფუტკინის მიერ. მისიკა თ. ვახვა[illegible]—[illegible]ნიშვილისა.

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 6 ნოემბერს, სახელმწიფო ოპერის თეატრში პირველად იდგმება რიმსკი კარსაკოვის ოპერა: „მოცარტ და სალერი“, ევლახოვის და ისეცკის მონაწილეობით. რეჟისორობს ვ. რაპოპორტი, ლოტბარობს სახელმწიფო თეატრების დამსახურებული არტისტი ვ. ფალიაშვილი. ამავე საღამოს დაიდგმება სახუმარო მოქმედება „ღამე ქაჩალ გორაზე“, მუსიკა მუსორსკისა, დასდგავს მ. დისკოვსკი, „ისპანიური კაპრიჩიოში“ მონაწილეობს ბალეტი.

**რუსული დრამა.** დღეს, 6 ნოემბერს, სახალხო სახლში რუსული დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება პირველად „ხუმარა ტანტრისი“, დრამა 5 მოქმ. გარდტისა. ამ მოკლე ხანში დასი წარმოსადგენად ამზადებს ტანგოფერის პიესას „ვალენის ქორწინება“ და შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულებას“.

**ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი.** ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმის ახლად დანიშნულმა დირექტორმა ი. აბაშიძემ ჩაიბარა სასწავლებელი. მან გადმოგვცა, რომ სასწავლებელში საქმე კარგად ყოფილა დაყენებული. სასწავლებელს ჰქონია 6 როიალის კლასი, 1 სკრიპკისა, 1 ჩელოსი, 1 საერთო თეორიის კლასი, 1 სიმღერისა. კარგს ვრცელს შენობაში ყოფილა მოთავსებული სასწავლებელი, რომელსაც უკავია 25 ათასი თავისი საკონცერტო დარბაზით. სასწავლებელში ამ ჟამად ითვლება 200 მოწაფე. სახალხო განათლების კომისარიატში წარდგენილია პროექტი საკონცერტო დარბაზის გადაკეთების შესახებ.

**ვ.**

**ახალი გაზეთი „ივერია“.** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“.

**დამსახურებულ მწერლის იუბილე.** სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭომ და ხელოვნების კომიტეტმა დაადგინა ახლო ხანში გაუმართოს იუბილე დამსახურებულ მწერალს ანასტასია ერისთავ ხოშტარიას.

**თვით მშობელთა კლუბი.** თვით მშობელთა კლუბის ქართულ წარმოდგენების სეზონი გაიხსნება 7 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“.

**მსახიობ ბაბო მესხიშვილის გამგზავრება.** მსახიობი ქალი, რომელიც რამოდენიმე თვე ტფილისში იმყოფებოდა საგასტროლოდ, გაემგზავრა ხარკოვში. რამოდენიმე წარმოდგენის გამართვის შემდეგ დაბრუნდება მოსკოვს.

**ჟურნალი „ჯეჯილი“.** გამოვიდა ჟურნალი „ჯეჯილის“ 7—8 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია ხარ. ვარდოშვილის, გ. ქუჩიშვილის და მიმქრალის ლექსები, ლეო ქიაჩელის მოთხრობა და სხვა. ღირს 15 კაპ. ჩერ.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი — მთავარი კომიტეტი.

გაზეთი
„ტრიბუნა“

ნოემბრის 1-დან ელირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის
თვიურად . . . . . . . 7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო
პირთათვის . . . . . 9.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 500.000 „

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა
სამმართველო
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 22 ნოემბერს, მის მიერ
დანიშნულია შეჯიბრება
ნატეხი ქვების დადგმაზე ზაჰესის მთავარ საგუბრის მოსახულებისათვის—სულ 100 ოთხკუთხი საჟენამდი.

დაწვრილებით ტეხნიკური პირობების ნაწილ-ნაწილობითი დადგმის ვადის, სპეციფიკაციის და ქვების ზომების და შეჯიბრების სხვა პირობების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე 10-დან 12 საათამდე (ტფილისი, ლადო დუმბაძის ქუჩა № 3, ყოფ. ველიამინოვისა). იმ პირთ, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ თეთრაზე (ბლანკზე) დახურულ კონვერტში. განცხადებასთან უნდა იქნეს დართული ქვითარი სულ განცხადებულ ფასიდან 2 პროც.—ზაჰესის სალაროში შემოტანისა.

წინასწარი საწინდრის შემოტანიდან შეიძლება განთავისუფლებული იქნან მხოლოდ მუშების და გლეხების არტელები კანონიერად აღრიცხვაზე აყვანილნი შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

1—1. სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე.